ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5616669

ნომერი: AR1852310

თარიღი : 23.09.2021

გაცემის თარიღი : 29.09.2021

გაცნობის თარიღი : 29.09.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , II და III მიკრო/რაიონს შორის , ყოფილი ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ (ნაკვეთი 01/079);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბენდელიანი პ/ნ 01001029584
- თბილისი გლდანი IIIა მ/რ კორ. 17 ბ. 52

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2021 წლის 23 სექტემბრის №AR1852310 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 23

სექტემბერს №AR1852310 განცხადებით მომართა გიორგი ბენდელიანმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 21 მაისის №4944822 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 მაისის №4944822 ბრძანებით შეთანხმდა №01.10.06.001.258 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 13 მაისის №5399275 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 13 მაისიდან 2024 წლის 13 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 მაისის №4944822 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე არასწორად იყო დაფიქსირებული საზაფხულო და საცხოვრებელი ფართობები და აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლებას. განმცხადებელს ასევე სურს კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 1341.1 კვ.მ-ის ნაცვლად 1344.1 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში არ არის შეყვანილი -3.00 ნიშნულის გეგმაზე არსებული ლიფტის შახტის ფართობი (სხვა ნიშნულის გეგმებზე არსებული ლიფტის შახტის ფართობები არ არსებობს (სიცარიელეა), შესაბამისად არც ერთი ფუნქციის ფართობში არ შედის), ასევე, +36.00 ნიშნულზე (გადახურვის გეგმა) „6-5'' და „10-10*“ ღერძებში მდებარე ლიფტის სამანქანეს ფართობები შეყვანილი გყავთ კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობში, საჭიროა აღნიშნული ლიფტის სამანქანეს ფართობები შეყვანილ იქნას დამხმარე ფართობში. ასევე, გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საცხოვრებელ ფართობებში შეყვანილია კოლონების და სავენტილაციო შახტების ფართობები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ემუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,
ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. დააზუსტოს მოთხოვნა კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, დამხმარე, საცხოვრებელ და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
1.2. წარმოადგინოს სამსახურის 2020 წლის 21 მაისის №4944822 ბრძანებით შეთანხმებული მხოლოდ არქიტექტურული გეგმების იდენტური არქიტექტურული გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), რომლებზეც საცხოვრებელი ფართობები დატანილი იქნება კოლონების და სავენტილაციო შახტების გამოკლებით. ასევე, -3.00 ნიშნულის გეგმაზე არსებული ლიფტის შახტის ფართობი შეყვანილ იქნას კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობში. ხოლო, +36.00 ნიშნულზე (გადახურვის გეგმა) „6-5'' და „10-10*“ ღერძებში მდებარე ლიფტის სამანქანეს ფართობები შეყვანილ იქნას დამხმარე ფართობში.
2.ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2021 წლის 23 სექტემბრის №AR1852310 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.